დამტკიცებულია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის
მინისტრის 2026 წლის 10 მარტის № 19 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2026 წლის პროგრამის 0705 „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამის 070505 „ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია“ ღონისძიების „აგრარული ფესტივალ(ებ)ი“ განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს წესი აწესრიგებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2026 წლის პროგრამის „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამის „ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია“ ღონისძიების „აგრარული ფესტივალ(ებ)ი“-ს (შემდგომში - ქვეპროგრამის ღონისძიება/აგრარული ფესტივალი) განხორციელების პროცედურებს და თანადაფინანსების პირობებს.

1.2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2026 წლის პროგრამის „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამის „ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია“ მიზანია აგრარული ფესტივალების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

1.3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2026 წლის პროგრამის „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ (შემდგომში - პროგრამა) ქვეპროგრამის „ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია“ (შემდგომში - ქვეპროგრამა) ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება საქართველოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ის (აგრარულ სექტორში მოქმედი ასოციაცი(ებ)ი) მიერ წარმოდგენილი განაცხადების/პროექტების თანადაფინანსება.

1.4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2026 წლის პროგრამის „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამის „ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია“ ღონისძიების „აგრარული ფესტივალ(ებ)ი“-ს ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შექმნილი ბენეფიციართა შესარჩევი კომისია (შემდგომში - ბენეფიციართა შესარჩევი კომისია) კონკურენტულ გარემოში - კონკურსის საფუძველზე შეარჩევს, აგრარული ფესტივალ(ებ)ის განმახორციელებელ ორგანიზაცი(ებ)ს (შემდგომში - განმახორციელებელი ორგანიზაცია/ბენეფიციარი) და განახორციელებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა პროცედურებს.

1.5. აგრარული ფესტივალები ჩატარდება წინამდებარე წესით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო მიმართულებების მიხედვით.

მუხლი 2. ქვეპროგრამის ღონისძიების მიზანი და მიმართულებები

2.1. ქვეპროგრამის ღონისძიების მიზანი

2.1.1. ადგილობრივად (რეგიონში) წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაციაზე ორიენტირებული აგრარული ფესტივალების მხარდაჭერა;

2.1.2. ამ წესით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო მიმართულებებით წარმოებული პროდუქციის ცნობადობის ზრდა;

2.1.3. საოჯახო მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია და რეალიზაციის ხელშეწყობა.

2.2 ქვეპროგრამის ღონისძიების მიმართულებები:

2.2.1. მეთევზეობა და თევზის წარმოება;

2.2.2. მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება.

მუხლი 3. აგრარული ფესტივალისა და კონკურსის პირობები

3.1. აგრარული ფესტივალები განხორციელდება, ამ წესის მე-2 მუხლის 2.2. პუნქტით განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით, 2026 წლის 1 დეკემბრამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში. აგრარული ფესტივალების ჩატარების კონკრეტული თარიღი და ადგილი თანხმდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

3.2. ქვეპროგრამის ღონისძიების ადმინისტრირებას (კონკურსის გამოცხადება, განაცხადების მიღება - დამუშავება, ბენეფიციართა შერჩევა, ხელშეკრულების გაფორმება, თანადაფინანსება, მონიტორინგი) ახორციელებს სამინისტრო.

3.3. ქვეპროგრამის ღონისძიების ფარგლებში კონკურსის გამოცხადებისა და განაცხადების/პროექტების წარდგენის ვადებს, ასევე ბენეფიციართა შეფასება/შერჩევას განსაზღვრავს/ახორციელებს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია.

3.4. ქვეპროგრამის ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელია და ასევე, ქვეპროგრამის ღონისძიების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს, აგრარული განვითარების დეპარტამენტი. ამასთან, ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის შემადგენლობას, სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით დასამტკიცებლად, ხოლო ქვეპროგრამის ღონისძიების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელებაში ჩართული კონკრეტული პირ(ებ)ის განსაზღვრის შესახებ ინფორმაციას მინისტრს წარუდგენს აგრარული განვითარების დეპარტამენტი.

3.5. ქვეპროგრამის ღონისძიების ფარგლებში კონკურსი ცხადდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - (agriculture.ajara.gov.ge) და ასევე, ინფორმაცია ქვეყნდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ „facebook" გვერდზე.

3.6. ქვეპროგრამის ღონისძიების ფარგლებში კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (აგრარულ სექტორში მოქმედი ასოციაცი(ებ)ი), გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ან მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციისა.

3.7. თანადაფინანსების მისაღებად ერთ კონკურსანტს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენა, ამ წესით განსაზღვრული ფორმით (დანართი N1), აღნიშნულის გაუთვალისწინებლად წარმოდგენილი განაცხად(ებ)ი არ განიხილება.

3.8. ქვეპროგრამის ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადებს/პროექტებს განიხილავს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია. კომისია შეისწავლის და აფასებს საკონკურსო განაცხადებს/პროექტებს ამ წესით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

3.9. კომისია უფლებამოსილია, კონკურსანტისაგან დამატებით გამოითხოვოს დოკუმენტაცია/ინფორმაცია ფესტივალის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯ(ებ)ის და ფესტივალთან დაკავშირებული სხვა საკითხების დაზუსტების მიზნით, რისთვისაც კონკურსანტს განესაზღვრება გონივრული ვადა.

3.10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2026 წლის ქვეპროგრამის „ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის" ღონისძიების „აგრარული ფესტივალ(ებ)ი" ფარგლებში სამინისტროს თანამონაწილეობის თანხა შეადგენს აგრარული ფესტივალის ორგანიზებისთვის გათვალისწინებული ღირებულების არაუმეტეს 70%-ს, არანაკლებ 8 000 ლარს და არაუმეტეს 15 000 ლარს (ამ წესის მე-2 მუხლის 2.2 პუნქტით განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით).

3.11. ქვეპროგრამის ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდება:

3.11.1. ფესტივალის გამართვისათვის საჭირო საინფორმაციო ბანერ(ებ)ის ხარჯი;

3.11.2. ფესტივალის ორგანიზებისათვის ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით გასაწევი ხარჯი (სცენა, განათება, გახმოვანება, ლედ-ეკრანი და სხვა);

3.11.3. ფესტივალზე წარმოდგენილი პროდუქციის განთავსებისათვის (ჯიხურების, დახლების და სხვა მასთან დაკავშირებული ინვენტარის დაქირავება) საჭირო ხარჯები.

3.12. ქვეპროგრამის ღონისძიების ფარგლებში, გამარჯვებული ორგანიზაციის გაწეული ხარჯების დაფინანსება არ განხორციელდება:

3.12.1. ფესტივალის ფარგლებში შრომის ანაზღაურებისთვის გაწეული ხარჯები;

3.12.2. სტუმრების და მონაწილეების სასტუმროში განთავსების ხარჯები;

3.12.3. ფესტივალის სტუმრებისთვის და მონაწილეებისათვის გაწეული კვების ხარჯები;

3.12.4. ფესტივალის სტუმრებისთვის და მონაწილეებისათვის გაწეული ტრანსპორტირების ხარჯები;

3.12.5 ფესტივალის გამართვის ადგილის დასუფთავების ხარჯები და სხვა.

3.13. განცხადით წარმოდგენილი ფესტივალი, როგორც წესი, უნდა ითვალისწინებდეს: ღონისძიების ღია ცის ქვეშ გამართვას (არასათანადო ამინდის შემთხვევაში, სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით, ღონისიება შეიძლება, გამონაკლისის წესით, გაიმართოს დახურულ სივრცეში), ასევე პროდუქციის მწარმოებელთა ჩართულობით, გამოფენისა და კვების ადგილების მოწყობას, სადაც დაინტერესებულ პირს შეეძლება პროდუქციის შეძენა, ღონისძიების მუსიკალურ გაფორმებას.

3.14. განმახორციელებელმა ორგანიზაციამ/ბენეფიციარმა ფინანსური ანგარიში, ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად (მათ შორის, განმახორციელებელი ორგანიზაციის/ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი), მატერიალურად უნდა წარმოადგინოს ფესტივალის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

3.15. გამარჯვებულმა ორგანიზაციამ ფესტივალის განხორციელების დროს, საინფორმაციო და სხვა სახის მასალებზე უნდა გამოსახოს (ბანერი, ეკრანი და სხვა) როგორც საკუთარი ორგანიზაციის ლოგო და მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლოგო და შესაბამისი ინფორმაცია ფესტივალის დასახელების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ფესტივალის ფინანსური მხარადაჭერის შესახებ.

მუხლი 4. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

4.1. „აგრარული ფესტივალები"-ს განხორციელების მიზნით ჩასატარებელ კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

4.1.1. განაცხადი (პროექტი);

4.1.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდება;

4.1.3. ფესტივალ(ებ)ის ჩატარების გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია/მასალა, მათ შორის, აუდიო-ვიზუალური მასალა არსებობის შემთხვევაში;

4.1.4. კონკურსანტის მიერ განაცხადით/პროექტით წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია/დოკუმენტაცია - ფესტივალის მიზნის, აქტუალურობის, განხორციელები ვადების, განხორციელების გრაფიკის, ფესტივალში მონაწილე მხარეების, ფესტივალზე განსახორციელებელი აქტივობების, წარმოდგენილი პროდუქციის შესახებ და სხვა;

4.1.5. განსახორციელებელი ფესტივალის დეტალური ბიუჯეტი ფასების განსაზღვრისათვის საჭირო დოკუმენტებთან ერთად (ინვოისი, მომსახურების/საქონლის მიმწოდებლების თანხმობის წერილი ან/და სხვა) უნდა იქნეს წარმოდგენილი;

4.1.6. ნებართვა ან უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ფესტივალის ჩატარების ადგილის გამოყოფის/უფლების შესახებ;

4.1.7. განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (კონკურსის გამოცხადების თარიღის შემდგომი მდგომარეობით), რომელშიც განმცხადებლის მიმართ, არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და განმცხადებელი არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

4.1.8. ცნობა ბიუჯეტში დავალიანების არქონის შესახებ (ფესტივალების კონკურსის გამოცხადების თარიღის შემდგომი მდგომარეობით).

4.2. კონკურსის ფარგლებში განაცხადები/პროექტები და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს მატერიალური სახით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, აკადემიკოს მამია კომახიძის ქუჩა N119).

მუხლი 5. ღონისძიების აგრარული ფესტივალების განაცხადების/პროექტების განხილვა-შეფასების წესი და შეფასების კრიტერიუმები

5.1. განაცხადების/პროექტების შერჩევა ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ განხორციელდება ორ ეტაპად, განაცხადების/პროექტების განხილვა-შეფასება და გასაუბრება, რომლებიც ფასდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

5.1.1. **პირველ ეტაპზე** უპირატესობა მიენიჭება ასოციაციას, რომელიც:

5.1.1.1. ფესტივალის ფარგლებში პოპულარიზაცია ეწევა ბიო პროდუქციას;

5.1.1.2. აპირებს ღონისძიების განხორციელებას, რომლის მონაწილე ფერმერი/მეწარმეების უმრავლესობა რეგიონში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს წარმოადგენენ;

5.1.1.3. აპირებს ფესტივალის განხორციელებას, რომელსაც გააჩნია მასშტაბური სახე, რომლის მიზანია მეტი ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების მოზიდვა და ქართული პროდუქციის ცნობადობის ამაღლება;

5.1.1.4. გააჩნია გამოცდილება ანალოგიური ტიპის ფესტივალების ორგანიზებაში;

5.1.1.5. ასოციაციის მიერ წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტი შეესაბამება ფესტივალის განხოციელების მიზნებს.

5.1.2. **მეორე ეტაპზე** შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

5.1.2.1. პრეზენტაბელურობა და ორგანიზებულობა;

5.1.2.2. ფესტივალის ფარგლებში შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირების შემთხვევაში, ადეკვატური ღონისძიებების შემუშავების უნარი (რისკების მართვა);

5.1.2.3. კომუნიკაციის უნარი.

5.2. თითოეული კრიტერიუმი ფასდება 0-დან 10 ქულამდე.

5.3. განაცხადს/პროექტს, ამ წესის მე-5 მუხლის 5.1. პუნქტით დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, განიხილავს, აფასებს და კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციას (ბენეფიციარს) გამოავლენს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია;

5.4. არაუფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება.

5.5. პირველ ეტაპზე კომისია განიხილავს წარმოდგენილ განაცხადებს/პროექტებს (ამ წესში წარმოდგენილი მიმართულებების მიხედვით) გამსვლელი შეფასება - არანაკლებ 70%.

5.6. პროექტი, რომელიც პირველ ეტაპზე ვერ მიიღებს გამსვლელ შეფასებას, ვერ გადავა მეორე (გასაუბრება) ეტაპზე, რის შესახებაც განმცხადებლ(ებ)ს ეცნობება წერილობით.

5.7. განხილვის პირველ ეტაპზე, განაცხად(ებ)ის და თანდართული დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისია უფლებამოსილია განმცხადებელს დაუდგინოს ხარვეზი (მათ შორის დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის საკითხზე) და მოითხოვოს დოკუმენტაციის/ინფორმაციის დაზუსტება გონივრულ ვადაში.

5.8. განმცხადებელი ვალდებულია კომისიის მიერ 5.7. პუნქტით დადგენილ ვადაში სრულყოფილად წარმოადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადი არ განიხილება.

5.9. პირველ ეტაპზე, კომისია განიხილავს წარმოდგენილ განაცხადს (პროექტს), დაზუსტებულ დოკუმენტაციას/ინფორმაციას და წარმოდგენილ განაცხადს (პროექტს) აფასებს წინამდებარე წესით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

5.10. კონკურსის მეორე ეტაპზე, კომისია გასაუბრების შედეგად გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს (ამ წესში წარმოდგენილი მიმართულებების მიხედვით) გამსვლელი შეფასება - არანაკლებ 70%.

5.11. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6. განსახორციელებელი აგრარული ფესტივალების ხელშეკრულების გაფორმება და თანადაფინანსების გაცემის წესი

6.1. სამინისტროს მიერ კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან ფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება, წინამდებარე წესზე თანდართული პროექტის საფუძველზე (დანართი N2).

6.2. ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე, თანადაფინანსების მოცულობის ზრდა დაუშვებელია.

6.3. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შესრულდეს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.4. სამინისტროს მიერ თანადაფინანსდება კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაწეული ხარჯები.

6.5. თანადაფინანსება განხორციელდება ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.6. თანადაფინანსება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ, ფაქტობრივად გაწეული ხარჯის (წესის 3.11 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებ(ებ)ზე/საქონელზე) შესაბამისად, წინამდებარე წესის 3.13 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე (მათ შორის, განმახორციელებელი ორგანიზაციის/ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი), შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.7. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის პუნქტებს შორის თანხის გადატანა (ცვლილება) შესაძლებელია თანადაფინანსების თანხის არაუმეტეს 20%-ის ოდენობით. თანადაფინანსების მიმღები ვალდებულია, აღნიშნული საკითხი წინასწარ წერილობით შეათანხმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რაც აისახება ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების გზით.

6.8. ხელშეკრულების პროგრამულ აღწერილობაში ცვლილების შემთხვევაში (ღონისძიების თარიღის, ჩატარების ადგილის ცვლილება და სხვა) თანადაფინანსების მიმღები ვალდებულია, აღნიშნული საკითხი წინასწარ წერილობით შეათანხმოს სამინისტროსთან.

6.9. ღონისძიება ჩატარებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ფესტივალის განმახორციელებელი ორგანიზაცია, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, წარმოადგენს 3.13 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშს, ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

6.10. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ამ მუხლის 6.9. პუნქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თანადაფინანსება არ განხორციელდება.

6.11. სამინისტროს მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განხორციელდება, მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფესტივალის ჩატარების შემთხვევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ფესტივალის განმახორციელებელი ორგანიზაციის წინაშე სამინისტრო იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

6.12. მიღებული თანადაფინანსების საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ხარჯვასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია თანადაფინანსების მიმღები ორგანიზაცია.